

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო
2310094

შ.პ.ს „სიბი ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი; მინდელის მინდელის №3
საიდენტიფიკაციო კოდი: 404585169
ტელ: 577722969

**შ.პ.ს „სიბი ჯორჯია“-ისკუთვნილი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების შესახებ
(არარეგულირებული ახალი მიერთება)**

თქვენი, 2020 წლის 28 სექტემბრის №8676802 განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ სიღნაღის რაიონი; სოფ ქვემო მაჩხაანში მდებარე არასაყოფაცხოვრებო ობიექტის (საკ/კოდი 56.20.47.003) მიერთება 0,380კვ ძაბვის ქსელზე და ელექტრომომარაგება მოთხოვნილი 180 კვტ სიმძლავრით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. ობიექტის ტერიტორიაზე გამოიყოს ადგილი და მოეწყოს 10/04კვ ძაბვის მოთხოვნილი სიმძლავრის შესაბამისი სატრანსფორმატორო ქვესადგური.
2. საპროექტო სატრანსფორმატორო ქვესადგური განშტოებით მიუერთდეს ქვ/ს „ხირსა 110/10“-დან გამომავალ 10კვ ძაბვის ეგზ „რამი კომპლექსი“-ს.
3. 110/10 კვ ძაბვის ქვ/ს „ხირსა“-დან გამომავალი 10კვ ძაბვის ეგზ „რამი კომპლექსი“-ს #2 დან #21 საყრდენის ჩათვლით ამორტიზირებული საყრდენები შეიცვალოს ახალი რკინა/ბეტონის საყრდენებით. არსებულ 3*35 კვეთის კაბელი შეიცვალოს 3*70 კვეთის კაბელით . ქვესადგურიდან #1 საყრდენამდე.
4. განშტოების წერტილი, სადენის ტიპი, მარკა და კვეთი დაზუსტდეს პროექტირების დროს.
5. განშტოების ტრასა (მიწისქვეშა და მიწისზედა) შეთანხმდეს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.
6. ხილული გათიშვისათვის 10კვ ძაბვის არსებულ ქსელთან განშტოების მიერთების ადგილას დაიდგას სახაზო გამთიშველი.
7. გადამეტძაბვისაგან დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნას გადამეტძაბვის შემზღუდველები, რომლის მოწყობის ადგილი და ტიპი დაზუსტდეს პროექტირების დროს.
8. მიმდებარე ქსელში გადაისინჯოს სარელეო დაცვის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში.
9. ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო აღრიცხვა მოეწყოს ქსელის წესების შესაბამისად 10კვ ძაბვის საფეხურზე. აღრიცხვისათვის გამოყენებულ იქნეს:

1.1. ელექტროენერგიის მრიცხველი: აქტიურ-რეაქტიული ელექტრონული: სამფაზა: ძაბვა 57/100ვ დენი 5(10) ამპერი; სიზუსტის კლასი არანაკლებ 0,5; მონაცემთა გადამცემის ციფრული ინტერფეისით RS-485 გამომყვანით, მოდემით, გაფართოებული მეხსიერებით და ოპტიკური პორტით: უნდა იყოს თავსებადი ელექტროენერგიის კომერციული აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის „აღფა-ცენტრის“ პროგრამასთან, შეტანილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედ „გამზომ ხელსაწყოების რეესტრში“ და გააჩნდეს „მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მოწმობა და ლუქები. დენური და ძაბვის წრედები უნდა იყოს განმხოლოებული და მათი შუალედური მომჭერები იძლეოდეს მათი დალუქვის საშუალებას, ასევე დენური წრედები უნდა იძლეოდეს დენების დამოკლების საშუალებას.

1.2. დენის ტრანსფორმატორების ტრანსფორმაციის კოეფიციენტი დაზუსტდეს პროექტირების დროს.

1.3. ძაბვის ტრანსფორმატორი: სამი ცალფაზა ან ერთი სამფაზა (10კვ).

ობიექტის ძალოვანი ტრანსფორმატორის 0.4 kV ძაბვის მხარეს მოეწყოს საკონტროლო აღრიცხვა, რისთვისაც გამოყენებულ იქნეს:

1.1. ელექტროენერგიის მრიცხველი: აქტიური ელექტროენერგიის, ერთმიმართულებიანი, სამფაზა, ელექტრონული, მახასიათებლები: $U_N=220/380$ V; $I_N=5$ (I_{MAX} არანაკლებ 10) A; სიზუსტის კლასი არანაკლებ 1.0; მთვლელი მექანიზმი არანაკლებ 5+1 ციფრი; შეტანილი საქართველოში მოქმედ “გამზომი საშუალებების რეესტრი”-ში, აგრეთვე დამოწმებული უფლებამოსილი აკრედიტირებული ორგანოს მიერ, ან პირველადი (ქარხნული) დამოწმების აღიარების მქონე პასპორტში შესაბამისი აღნიშვნით;

1.2. დენის ტრანსფორმატორები: დატვირთვის დენების შესაბამისი ტრანსფორმაციის კოეფიციენტისა და 0.5 სიზუსტის კლასის მქონე გრაგნილით; მოქმედი პირველადი (ქარხნული) ან პერიოდული დამოწმების მოწმობის მქონე.

10. ობიექტის ძალოვანი ტრანსფორმატორის 0.4 kV ძაბვის მხარეს მოეწყოს საკონტროლო აღრიცხვა, რისთვისაც გამოყენებულ იქნეს:

1.3. ელექტროენერგიის მრიცხველი: აქტიური ელექტროენერგიის, ერთმიმართულებიანი, სამფაზა, ელექტრონული, მახასიათებლები: $U_N=220/380$ V; $I_N=5$ (I_{MAX} არანაკლებ 10) A; სიზუსტის კლასი არანაკლებ 1.0; მთვლელი მექანიზმი არანაკლებ 5+1 ციფრი; შეტანილი საქართველოში მოქმედ “გამზომი საშუალებების რეესტრი”-ში, აგრეთვე დამოწმებული უფლებამოსილი აკრედიტირებული ორგანოს მიერ, ან პირველადი (ქარხნული) დამოწმების აღიარების მქონე პასპორტში შესაბამისი აღნიშვნით;

1.4. დენის ტრანსფორმატორები: დატვირთვის დენების შესაბამისი ტრანსფორმაციის კოეფიციენტისა და 0.5 სიზუსტის კლასის მქონე გრაგნილით; მოქმედი პირველადი (ქარხნული) ან პერიოდული დამოწმების მოწმობის მქონე.

11. სრულად იქნეს დაცული “ელექტროდანადგარების მოწყობის წესები”-ს, “ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები”-სა და “უსაფრთხოების ტექნიკის წესები”-ს მოთხოვნები.

12. შემუშავებული პროექტი შესათანხმებლად წარედგინოს სს “ენერგო-პრო ჯორჯია“-ს (ბეჭდური და ელექტრონული ვერსია). პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ პროექტის შეთანხმების შემდეგ.
13. აღრიცხვის კვანძის მოწყობის გარდა ყველა სამუშაო შესრულდეს განმცხადებლის მიერ.
14. მფლობელი პასუხისმგებელია მის საკუთრებაში არსებული ელექტროდანადგარები და მოწყობილობები შეინარჩუნოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში.
15. რეაქტიული ენერგიის კომპენსირებისათვის განისაზღვროს ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ $\cos\varphi=0.95-1$ ფარგლებში; აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფილ იქნეს ობიექტის სრული საპროექტო სიმძლავრით ექსპლუატაციის დროს.
16. ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების თარიღიდან, ახალი მომხმარებელი პასუხისმგებელია უფლებამოსილია მის მფლობელობაში არსებული შიდა ქსელის, მათ შორის, აღრიცხვის კვანძის შემდეგ მოწყობილი შიდა ქსელის გამთიშველისა და სხვა ელექტრომოწყობილობა–დანადგარების პირველად ჩართვასა და უსაფრთხოებაზე.
17. ახალი მომხმარებელი ვალდებულია მის მფლობელობაში არსებული შიდა ქსელის, მათ შორის, აღრიცხვის კვანძის შემდეგ მოწყობილი შიდა ქსელის გამთიშველისა და სხვა ელექტრო მოწყობილობა–დანადგარების პირველადი ჩართვა განახორციელოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამონტაჟებული იქნება “გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების შესახებ განაცხადში” (დანართში) მითითებული, ან კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებული ყველა ელექტრომოწყობილობა–დანადგარები.
18. წინამდებარე ტექნიკურ პირობების 15 პუნქტში მოცემული მოთხოვნის შეუსრულებლობა განიხილება ტექნიკური პირობების დარღვევად და ახალ მომხმარებელს არ მიეცემა შიდა ქსელის გამთიშველზე წვდომის შესაძლებლობა. ამასთანავე, ქსელზე მიერთების შემდგომ “გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების შესახებ განაცხადში” (დანართში) მითითებული, ან კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებული ელექტრომოწყობილობა–დანადგარების შეცვლა (სხვა ფუნქციური დანიშნულების ელექტროდანადგარებით) კომპანიასთან წინასწარ შეთანხმების გარეშე განიხილება ტექნიკური პირობების დარღვევად, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა.
19. ახალი მომხმარებლის ელექტროენერგიით მომარაგების დაწყება მოხდეს ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძის ექსპლუატაციაში გაშვების აქტის გაფორმებითა და შიდა ქსელის გამთიშველამდე ელექტროენერგიის მიწოდებით. გამთიშველი უნდა იყოს გამორთულ მდგომარეობაში და დაცული გარე ზემოქმედებისგან.
20. ახალი მომხმარებელი უფლებამოსილია თვითონ მოახდინოს შიდა ქსელის გამთიშველზე სადენის დაერთება და დანადგარების პირველადი ჩართვა (უსაფრთხოების ნორმების დაცვით).
21. ობიექტის ელექტროდანადგარების შიდა ქსელის გამთიშველის დაერთების შესასრულებლად აბონენტი ვალდებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა თანდართული დოკუმენტაციით:
1. მომხმარებლის კუთვნილი თითოეული ელ. დანადგარის ლაბორატორიული შემოწმების ოქმი. (ძალოვანი ტრანსფორმატორის, დენის ტრანსფორმატორის, ძაბვის ტრანსფორმატორის, დამიწების კონტურის, ვაკუუმური ამომრთველის, რელეური დაცვის, საყრდენების დამიწების).

2. ობიექტს უნდა ყავდეს ელ. მეურნეობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გააჩნია საკვალიფიკაციო მოწმობა არა ნაკლებ IV ჯგუფისა. (წარმოდგენილი უნდა იყოს დანიშვნის ბრძანება, საკონტაქტო ინფორმაცია და მოწმობა მოქმედი ვადით)

22. აღრიცხვის კვანძის მოწყობა უნდა მოითხოვოდ ტექნიკური პირობებით განსაზღვრული სამუშაოების (ქსელზე მიერთების) შესრულების შემდეგ, რისთვისაც საჭიროა თქვენი წერილობითი მომართვა ობიექტის ქსელზე მიერთების მზაობის შესახებ, რომელსაც თან დაურთავთ აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის შესაბამის საგადასახადო დავალებას ან ქვითარს.

23. ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის მოწყობის სამუშაოების შესრულებას უზრუნველყოფს სს “ენერგო-პრო ჯორჯია” შესაბამისი ანაზღაურების შემდგომ, რომლის ღირებულება შეადგენს 7000 ლარს.

24. ტექნიკური პირობების მოქმედების ვადა 1 (ერთი) წელი დღიდან მისი გაცემისა.

- მიმღები ბანკის დასახელება: ს.ს "თიბისი ბანკი"
- საბანკო რეკვიზიტები: #GE32TB7015336030100006
- ბანკის კოდი: TBCBGE22
- დანიშნულება: აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასური.

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე

განვითარების მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი

შემსრულებელი: მარი ჯერანაშვილი

ტელ: 551072711